საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კირთაძე ნესტან ლევანის ასული

ნ. კირთაძე

კირთაძე ნესტან ლევანის ასული (დ. 8. VI. 1959, ქუთაისი), ისტორიკოსი, ისტორიის მეცნ. დოქტორი (1999), პროფესორი (1999). დაამთავრა ქუთაისის პედ. ინ-ტის ისტ. ფაკ-ტი (1981). 1981–87 იყო ქუთაისის სახელმწ. პოლიტექ. ინ-ტის კათედრის, ხოლო 1990–99 – თსუ-ის პოლიტ. პარტიების ისტორიის კათედრის თანამშრომელი, დოცენტი, 1999–2006 – ამავე უნ-ის საქართვ. ისტორიის კათედრის პროფესორი.

1992–99 იყო პარლამენტის წევრი, 1995–96 – პარტია „მოქალაქეთა კავშირის“ პოლიტ. მდივანი; 1997-იდან – პარტია „სახალხო-დემოკრატიული კავშირი – ქრისტიან-დემოკრატების“ თავ-რე.

კ. არის რამდენიმე მონოგრაფიისა და სამეცნ. სტატიების ავტორი, მთ. რედ. წიგნისა „ნათელი ქრისტესი – საქართველო“ (ტეტრალოგია).

თხზ.: 1924 წლის აჯანყება საქართველოში, ქუთ., 1996; ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო (1919–1923 წწ.), თბ., 1997; საქართველოს დამოუკიდებლობა და ქართულ-ევროპული ურთიერთობები, თბ., 1997.